საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 1297-03
19/08/2026

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის სამაგისტრო პროგრამებზე „საჯარაო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ ინგლისური ენის გამოცდის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის“ საფუძველზე, გარე მობილობის შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 13 აგვისტოს N 1256-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის ფარგლებში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე – „საჯარაო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ – სწავლის გაგრძელების მსურველ პირთათვის ინგლისურ ენაში ტესტირება ჩატარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, A 101 აუდიტორიაში (მის: ი. ჭავჭავაძის გამზირი N32).

2. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის ფარგლებში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე - „საჯარაო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ ჩარიცხვის მსურველ პირთათვის ინგლისურ ენაში ტესტირება ჩატარდება 2026 წლის 15 სექტემბერს, 12:00 საათზე.
3. სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე „საჯარაო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის მსურველ პირებს ინგლისური ენის ტესტში მიღებული პირველადი შეფასებები ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, არაუგვიანეს 2026 წლის 16 სექტემბრის 12:00 საათისა.
4. სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე – „საჯარაო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ – გარე მობილობის ფარგლებში ჩატარებული ინგლისური ენის ტესტირების პირველად შედეგებზე საპრეტენზიო განაცხადები მიიღება 2026 წლის 16 სექტემბრის 12:00 საათიდან 2026 წლის 17 სექტემბრის 12:00 საათამდე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: graduateschool@iliauni.edu.ge .
5. ინგლისურ ენაში ტესტირების საბოლოო შედეგები, საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ, აპლიკანტებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, არაუგვიანეს 2026 წლის 17 სექტემბრის 20:00 საათისა.

6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
8. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის „არგუსი“ ადმინისტრატორს A 101 აუდიტორიის დაჯავშნა „არგუსი“-ს საშუალებით;
9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს.

ნინო მატარაძე

დეკანი